როგორ შევადგინოთ პროფესიული განვითარების

ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა

(ახალი სქემის მოთხოვნების გათვალისიწნებით)

პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა ეს არის პედაგოგის მიერ გარკვეული ვადაში გაწერილი საქმიანობების, გნებავთ, აქტივობების ცხრილი, რომლის განხორციელებაც პედაგოგს საშუალებას აძლევს გაზარდოს საკუთარი კომპეტენციები, აინაცვლოს კარიერული წინსვლის სქემის შემდეგ საფეხურზე და მიაღწიოს ახალ წარმატებას. დაგეგმვის ეტაპი მოიცავს პედაგოგის თვითგანვითარების სფეროების განსაზღვრას.

პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემოთავაზებულ ნიმუშის მიხედვით), მოიცავს საჭიროებებს, რომლის შინაარსობრივი ნაწილიც ფორმულირდება როგორც რაიმე კომპეტენციის ფლობა: მაგალითად, აქტიური მოსმენის ტექნიკის ფლობა, განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების ფლობა, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შედგენის სტრატეგიების ფლობა და ასე შემდეგ. მოკლედ, საჭიროების შინაარსიდან გამომდინარეობს პედაგოგის მიზანიც. რაც შეეხება ჩვენი მიზნების/ საჭიროებების მიღწევას, საამისოდ გვჭირდება გარკვეული აქტივობების განხორციელება. საქმიანობის სახეობა დამოკიდებულია უშუალოდ მიზანზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ თითოეული მიზნის მისაღწევად საჭიროა ლოგიკურად და თანმიმდევრულად დაგეგმილ რამდენიმე აქტივობაში მონაწილეობა, როგორებიცაა: პრაქტიკული კვლევა, სამოდელო გაკვეთილი, ერთობლივი გაკვეთილი, სასწავლო ჯგუფებში მონაწილეობა და ა.შ. აქ მოიაზრება კონკრეტული გზები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს ჩვენს მიერ აღწერილი საჭიროება, როგორც პრობლემური საკითხი, მოვაგვაროთ.

აქტივობები შეიძლება იყოს:

- პროფესიულ კონფერენციაზე დასწრება;
- სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა;
- მენტორი პედაგოგის კონსულტაციები;
- სხვა მასწავლებლის მენტორობა;
- პედაგოგების მიერ ურთიერთსწავლება;
- კოლეგებისათვის სამუშაო შეხვედრის ჩატარება;
- პარალელური კლასების მასწავლებელთა შეხვედრებში მონაწილეობა;
- მოსწავლეთა შესახებ მონაცემების შეკრება-ანალიზი;

- პრაქტიკის კვლევა;
- კვლევაში მონაწილეობა;
- ექსპერტთან კონსულტაცია;
- „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი - სხვა მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება, დაკვირვება და ეფექტური უკუკავშირის მიცემა; საკუთარ გაკვეთილზე კოლეგების მიწვევა და მათი გამოხმაურების ანალიზი;
- ტრენინგში/სემინარში მონაწილეობა;
- სასწავლო გეგმის/ების შედგენა;
- საკითხის დამოუკიდებლად შესწავლა;
- ელექტრონული მიმოწერა საკითხის პრეზენტატორთან;
- პროფესიულ ორგანიზაციაში გაწევრიანება;
- თვითრეფლექსიის ჟურნალის წარმოება;
- წიგნის განხილვაში მონაწილეობა;
- გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა;
- კონფერენციაზე მოხსენების გაკეთება;
- პროფესიული ჟურნალებისა და წიგნების გაცნობა;
- ეფექტური პრაქტიკის შესახებ პროფესიული ლიტერატურის მიმოხილვა;
- საზაფხულო კურსებში მონაწილეობა;
- დისტანციური პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა;
- საუნივერსიტეტო კურსის მოსმენა;
- აუდიო პრეზენტაციების მოსმენა;
- საკუთარი გაკვეთილის ვიდეოჩანაწერის ანალიზი და შეფასება;
- სამოდელო გაკვეთილების ჩატარება;
- სტატიების დაწერა;
- სასწავლო რესურსების შექმნა;
- პრეზენტაციები და დისკუსიები მრავალრიცხოვან პროფესიულ ჯგუფებში;
- თანმდევი სესიები და საქმიანობები ახალი იდეების წარმატებული დანერგვისთვის;
- დაკვირვება/შეფასება;
- განვითარება/გაუმჯობესების პროცესებში მონაწილეობა;
- სასწავლო ჯგუფებში მონაწილეობა და ა.შ.

მიზნის განსაზღვრისა და აქტივობების შერჩევის გარდა, აუცილებებლია ვადების განსაზღვრა, რაც მეტად ორგანიზებულს გახდის ჩვენს მუშაობას. საჭიროა, შევამოწმოთ რამდენად ამართლებს ჩვენ მიერ დაგეგმილი აქტივობები, რისთვისაც

უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი ინსტრუმენტები. ეს საშუალებას მოგვცემს, გავზომოთ ჩვენი შედეგების ეფექტურობა აქტივობების განხორციელების მომენტში. მაგალითად, აქტივობის შედეგების ინდიკატორის ჩამონათვალში შეიძლება გამოვიყენოთ თვითშეფასების კითხვარის ცხრილის შევსება, კოლეგების მიერ შეფასების სქემების შევსება, ფოკუსირებული დაკვირვება, პედაგოგიური კვლევის ფარგლებში განხორციელებული ჩანაწერები, პედაგოგის მიერ ჩატარებული გაკვეთილის ანალიზი, რეფლექსია, თემატურ-კალენდარული გეგმები, კვირეული თუ ყოველდღიური გაკვეთილის გეგმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული სასწავლო გეგმები, ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმები და ა.შ.

N	საჭიროება	აქტივობა	პერიოდი	აქტივობის განხორციელების ინდიკატორი	კომენტარი
1.	ინტერაქტიული სწავლების სტრატეგიების ფლობა	ტრენინგი	იანვარი 2016 წელი	თვითშეფასების ცხრილი, რეფლექსია; ინტერაქტიული გაკვეთილის დაგეგმვა;	
		შესაბამისი ლიტერატურის დამუშავება და წარდგენა კათედრაზე კოლეგებისათვის	იანვარი-მაისი 2016 წელი	კოლეგების უკუკავშირი;	
		სასწავლო რესურსების შექმნა. სამოდელო გაკვეთილის ჩატარება.	მარტი 2016 წელი	თვითშეფასების ცხრილი, კოლეგების უკუკავშირი ,,კრიტიკული მეგობრი“ს სტილში	
		მენტორობა / ქოუჩინგი	აპრილი 2016 წელი	თვითშეფასების ცხრილი გაკვეთილის გეგმა	

თუ ჩვენ შევადარებთ წინამორბედ პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის და ამჟამინდელის კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ახალი გეგმა ორიენტირებულია პედაგოგის მიზნობრივ განვითარებაზე, ხოლო ძველი მასწავლებლების აქტივობების ერთგვარ ჩამონათვალს წარმოადგენდა, რომელშიც არც მიზანი იყო ფორმულირებული და არც ინდიკატორი. მაგრამ ძველმა ფორმატმაც თავისი საქმე გააკეთა, ბევრმა პედაგოგმა იმ სქემის ფარგლებში ისწავლა, თანამშრომლობა კოლეგებთან, ყურადღება გამახვილდა სწავლა-სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებაზე, სწორედ ძველი სქემა გახდა ხელშემწყობი, რომ პედაგოგებს გაეცნობიერებინათ ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელობა, ყურადღება გაემახვილებინათ შეფასების ძირითადი კრიტერიუმების შემუშავებაზე და ასე შემდეგ.

ახალი სქემა ახალ ამოცანებს გვისახავს და პედაგოგებისათვის ეს არის კიდევ ერთი გამოწვევა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით.

ნანა ნიკოლაშვილი,

სოფელ ველისციხის საჯარო სკოლის

სამოქალაქო განათლების უფროსი პედაგოგი